

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 3

16.05.2019 წ.

2019 წლის 16 მაისს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას 215 წევრიდან დაესწრო 151 წევრი

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დ დ ის წ ე ს რ ი გ ი

დ დ ის წ ე ს რ ი გ ი

1. 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ - მომხსენებელი, ფაკულტეტის მენეჯერი, პროფესორი გინა გურეშიძე;
2. სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტების ინდივიდუალური სწავლების გრაფიკზე გადაყვანის შესახებ - მომხსენებელი, პროფესორი იური ქადარია;
3. სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისა და აკრედიტაციაზე წარდგენის შესახებ- მომხსენებელი, პროფესორი მარინა ჯავახიშვილი;
4. პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად №19 საგანთა ჯგუფში (500 სთ)- მომხსენებელი, პროფესორი ალექსანდრე დავითაშვილი-ბაგრატიონი, №3 საგანთა ჯგუფში (500 სთ)- მომხსენებელი, პროფესორი თამაზ ბაციკაძე.
5. სწავლების პირველი წლის მაგისტრანტების ხელმძღვანელების და სამაგისტრო ნაშრომების დამტკიცების შესახებ- მომხსენებელი, პროფესორი ნუგზარ მურდულია.
6. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია ფაკულტეტის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განხორციელდა ცვლილებები ეკონომიური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ:

-15 000 ლარი „სამეცნიერო ხარჯების“ მუხლიდან გადატანილ იქნას წარმომადგენლობითი ხარჯების „მიღებების და ღონისძიებების ხარჯებში“.

-77 000 ლარი თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან გადატანილ იქნას:

- 17113 ლარი „რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევის და ფარდა-ჟალუზების შეძენის ხარჯების“ მუხლში.

-59 887 ლარი „შენობა ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის“ მუხლში.

გთხოვთ, ჩვენს მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილება წარადგინოთ წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად.

დაადგინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ გაეწიოს რეკომენდაცია სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

2. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პირველი მოადგილის პროფესორ იური ქადარიას ინფორმაცია სტუდენტებისათვის 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში გრაფიკის დანიშვნის შესახებ. მან საბჭოს მოახსენა, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე სულ შემოსულია 167 განცხადება, რომელთგან რეკომენდაცია გაეწია 147 სტუდენტს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ. წიქარიშვილმა, ლ კახიანმა.

დაადგინეს: წარმოდგენილ 147 სტუდენტს გაეწიოს რეკომენდაცია სტუ-ს აკადემიური საბჭოს წინაშე გრაფიკის დასანიშნად.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

3. მოისმინეს: პროფესორ მარინა ჯავახიშვილის ინფორმაცია სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისა და აკრედიტაციაზე წარდგენის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „მშენებლობა“ სასწავლო კურსს „სამშენებლო პროცესების ანალიზი/პროექტს“ – 5 კრედიტი არჩევით სასწავლო კურსებად დაემატა:

1. ნაგებობების სანტექნიკური აღჭურვა/პროექტი;

2. თბური რეჟიმები /მშენებლობაში;

3. ენერგოეფექტურობა და ენერგოდაზოგვა მშენებლობაში/პროექტი;

ხოლო „ნაგებობათა ანალიზი/პროექტს“ -5 კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებად დაემატა:

1. ბუნებრივი წყლის მიღება/პროექტი;

2. ნაპირდამცავი ჰიდროტექნიკური ნაგებობები/პროექტი;

3. შენობათა თბოაირმომარაგება და ვენტილაცია/პროექტი.

მოდიფიცირდა სასწავლო კურსი „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა“-ს სილაბუსი, კერძოდ: არსებული სილაბუსი ითვალისწინებდა 1 პრაქტიკულ და 1 ლაბორატორიულ

მეცადინეობას, წარმოდგენილი სილაბუსი კი ითვალისწინებს ორ პრაქტიკულ მეცადინეობას.

ტექნიკური ხარვეზია გაპარული: პროგრამაში ერთგან წერია „ტექნოლოგიური პროექტების კომპიუტერული უზრუნველყოფა“. უნდა ეწეროს „ტექნოლოგიური პროცესების კომპიუტერული უზრუნველყოფა“.

პროფესორმა მარინა ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამებს რომლებსაც აკრედიტაციის ვადა ეწურება ა/წ ნოემბრის თვეში, „მშენებლობის მენეჯმენტი“ და „სამშენებლო სატრანსპორტო ტექნოლოგიური საშუალებები“-ს. მომხსენებელმა აღნიშნა რომ ხსენებული პროგრამების სილაბუსები შეთანხმებულია სტუ-ს ხარისხის სამსახურთან და საბჭოს სთხოვს შეთანხმებული სილაბუსების დამტკიცებას. ასევე ახალი საბაკალავრო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“ მომზადებულია აკრედიტაციისათვის და საბჭოს სთხოვს აღნიშნული სილაბუსის დამტკიცებას.

4. მოისმინეს: პროფესორ ალექსანდრე დავითაშვილი-ბაგრატიონის მოხსენება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე №19 საგანთა ჯგუფში გაერთიანებულია ინგლისურენოვანი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები „წყლის ინჟინერია“. ამ პროგრამების განმახორციელებელი პროფესორის 1 სამტატო ერთეულის აკადემიურ თანამდებობას გასდის ვადა.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხები გაიტანოთ აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველად, რათა გამოცხადდეს კონკურსი 1 (500 სთ.) – სამტატო ერთეულზე №19 საგანთა ჯგუფში.

დაადგინეს: პროფესორ ალექსანდრე დავითაშვილი-ბაგრატიონის მიერ წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას აკადემიურ საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: პროფესორ თამაზ ბაციკაძის მოხსენება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე №3 საგანთა ჯგუფში გაერთიანებულია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები „მშენებლობა“. ამ პროგრამების განმახორციელებელი პროფესორის 1 (500 სთ.) სამტატო ერთეულის აკადემიურ თანამდებობას გასდის ვადა.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხი გაიტანოთ აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველად, რათა გამოცხადდეს კონკურსი №3 საგანთა ჯგუფში (500 სთ.).

დაადგინეს: პროფესორ თამაზ ბაციკაძის მიერ წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას აკადემიურ საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

5. მოსმინეს: პროფესორ ნუგზარ მურდულიას მოხსენება სწავლების პირველი წლის მაგისტრანტების ხელმძღვანელების და სამაგისტრო ნაშრომების დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია განსახილველად 134 თემის დასახელება, რომლებიც თემატიკების მიხედვით არის გადანაწილებული. (იხ დაწართი ოქმში).

მიმდინარე საკითხებში მოსმინეს:

1. მოსმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროს, ქალბატონ დარეჯან მეფარიშვილთან შეთანხმებით აუცილებელია ფაკულტეტებზე მიმდინარე საქმიანობის გაშუქება და ფართო მასებში პოპულარიზაცია. აღნიშნული საქმიანობის წარმართვის მიზნით, საჭიროა ხელშეკრულება გაუფორმდეს ფილოლოგსა და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ჟურნალისტს, ქალბატონ ნელი თორდიას.

აზრი გამოთქვას: ასისტენტ-პროფესორმა თინათინ მაღრაძემ, პროფესორმა ტარიელ კვიციანიმა, პროფესორმა ლია კახიანიმა.

დაადგინეს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე მიმდინარე საქმიანობის გაშუქებისა და ფართო მასებში პოპულარიზაციის მიზნით გაუფორმდეს ხელშეკრულება ფილოლოგსა და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ჟურნალისტს, ქალბატონ ნელი თორდიას პ/ნ 01019039313, ხელფასი თვეში 750 ლარის ოდენობით.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

2. მოსმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძისა და პროფესორ შოთა მესტვირიშვილოს ერთობლივი ინფორმაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან არსებული „გაზმომარაგების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“-ის შექმნის შესახებ. (მოხსენება თან ერთვის ოქმს).

3. მოსმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მდივნის, პროფესორ როინ იმედაძის ინფორმაცია სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის „სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია 1“-ის და „სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია 2“-ის სახელწოდების ცვლილების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნაცვლად „სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია 1“-ის და „სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია 2“-ისა იქნება „სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია - 1 მშენებლობა“ და „სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია - 2 მშენებლობა“.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი პროფესორ როინ იმედაძის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

4. მოისმინეს: 1. ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მან საბჭოს წარუდგინა ქვემოთ ჩამოთვლილ იმ თანამშრომლების სია, რომელთაც ჯანმრთელობის გაუარესების გამო ესაჭიროებათ ფინანსური დახმარებები:

1. თამარ ბენაშვილი, სამშებლო ფაკულტეტის ბიბლიოთეკარი;
2. თამარ ბახტაძე, კომპიუტერული ცენტრის უფროსი სპეციალისტი;
3. გიორგი ლუტიძე, ასოცირებული პროფესორი, 102 დეპ;
4. შახი ბაქანიძე, პროფესორი, 103 დეპ.

დაადგინეს: ბიუჯეტის დამჭირავებლის მიერ გაწეული „სოციალური დახმარების“ მუხლიდან გამოეყოთ თანხა ერთი თვის ხელფასის ოდენობით ზემოთ ჩამოთვლილ თანამშრომლებს.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მომხსენებელმა საბჭოს წარუდგინა ქვემოთ ჩამოთვლილი სტუდენტების სია, რომელთაც “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის გათვალისწინებით, ჩაეთვალათ გადახდილად სწავლის საფასური შემდეგი ოდენობით:

№	გვარი, სახელი	პირადი №	კურსი	ჯგუფი	დაფინანსების თანხა (ლარი)	სტატუსი
1	ანასტასოვი ნიკა	50001002391	2	1709	200	დევენილი
2	ფარულავა ალიკო	62006064508	1	1816	200	სოც. დაუცველი
3	ხვადაგიანი დავითი	62001042958	1	1880	200	დევენილი

დაადგინეს: ზემოთ ჩამოთვლილი სტუდენტები ნაწილობრივ გათავისუფლდნენ სწავლის საფასურის - 200 ლარის გადასახადისაგან და თანხა დაიფაროს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

/დ. გურგენიძე/

საბჭოს მდივანი, პროფესორი

/რ. იმედაძე /